„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ცაბაძე

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * აპრილი. 2017 * (2)29

საალდგომო მილოცვა

„აღსდგა ქრისტე და დაირღვიე შენ, ჯოჯოხეთო!
აღსდგა ქრისტე და დაეცნენ ეშმაკნი;
აღსდგა ქრისტე და ცხოვრება მოქალაქობს...“

(წმ. იოანე ოქროპირი)

სრულდება დიდი მარხვა და ახლოვდება ჟამი აღდგომის დღესასწაულისა. ეს დღე განსაკუთრებულად სასიხარულოა ქრისტიან მორწმუნეთათვის.

მიხარია, რომ მაქვს საშუალება მივილოცო ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული სრულიად საქართველოს და, მათ შორის, ასპინძის მოსახლეობას.

წლევანდელი წელი და აღდგომაც მართლმადიდებელთათვის გამორჩეულია იმით, რომ შესრულდა 100 წელი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა. ასპინძის ხვილიშის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი გამორჩეულად ხვდება საუკუნოვან იუბილეს. დამთავრდა აღდგენა-რესტავრაცია ტაძრისა და მის ეზოში მდებარე 9 აპრილს დაღუპულ მამულიშვილთა მემორიალისა. გაკეთდა გალავანი, მოპირკეთდა ეზო. ამიერიდან მოსწავლეებს, და ზოგადად, მსურველებს საშუალება ექნებათ თავისუფლად და მოხერხებულად მივიდნენ მემორიალთან, ყვავილებით შეამკონ და მოიხსენიონ 9 აპრილს დაღუპულთა სულები.

ამა წლის აღდგომის დღესასწაული ხვილიშის ტაძრისათვის იმითაც იქნება განსაკუთრებული, რომ აღდგომის ბრწყინვალეს გვამცნობს და გვახარებს ახალი საეკლესიო ზარების რეკვა, რისთვისაც მრევლის სახელით მინდა მადლიერება გამოვხატო ასპინძის მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა მიმართ, ბატონ ლევან ცაბაძის სალმძღვანელობით, რომელთაც ფასდაუდებელი თანადგომა გამოიჩინეს ჩვენი ეპარქიის მიმართ და უდიდესი წვლილი შეიტანეს ამ დიდ საშვილიშვილო საქმეში.

აქვე მინდა უდიდესი სიყვარულით მოვიხსენო დაბის მოსახლეობის იმ ღვაწლისა და გაწეული შრომისათვის, რომელიც მათ აღასრულეს ჩვენი ტაძრისათვის.



კიდევ ერთხელ ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ყველას მივილოცო აღდგომის ეს ბრწყინვალე დღესასწაული. ღმერთმა მადლი გიმრავლოთ,
იხარეთ ორთავ სოფელსა შინა!

ზოსიმე კაცაძე,
ხვილიშის წმ.გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი

ჯუბა ღებელი

ასპინძა

ვინ დახატა ეს მთა-გორა,
ან ბაღნარად ვინ აქცია,
იქნებ ქრისტე ეამბორა,
ჩამოსულა მაღლა ციდან...

ან ეს მტკვარი რომ მქუხარებს,
ვისი დარდის წვეთი არის,
დასდენია წვიმა კალთებს,
ღვთისმშობელის ცრემლისავით...

არ ვიღლები მთების მზერით,
როგორც მღვდელი ბარძიმის სმით,
რუსთაველი თამარ მზისთვის,
მზე-თამარი – ვარძიისთვის...

კრეფენ ვარდებს, ვარდის კვირტებს,
წურავენ რომ, სისხლით წერონ,
სამშობლოს ნუ ამიტირებ,
გევედრები, ქრისტე ღმერთო!..

შეაჩვენე მწვალებლები,
ყველა მტერი, ყველა ფლიდი,
ვით დავითმა ხორასნელნი,
ვით მხარგრძელმა რუქნადინი...

ჩემო ჯიშო, ჩემო მოდგმავ,
წმინდა ნინოს მადლით გევლოს,
ღვთისმშობელო, უკვე დროა,
გაიბრწყინოს საქართველომ!..

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

ახლახან გაიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელმაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, განიხილა მუნიციპალიტეტისათვის რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. მათ შორის:

– შეტანილი იქნა ცვლილება ასპინძის მუნიციპალიტეტის 2017 წლის დამტიცებულ ბიუჯეტში;

– შეაჯამეს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების შედეგები;

ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ასპინძის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის განხილვისა და დამტკიცების შესახებ;

დანართი

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ასპინძის

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში მიწის ნორმატიული ფასი) დგინდება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

CN = IMG X ITL X C X K

ა) CN - არის ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) IMG - ასპინძის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომლიც უდრის 0,27;

გ) ITL – არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის 1-ს;

დ) C – არის საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა 0,24 ლარის ტოლია.

ე) K – მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობა უდრის100-ს;

2. პირველი პუნქტის მიხედვით დაბა ასპინძაში ერთი კვ.მ მიწის ნორმატიული ფასი

დადგინდეს შემდეგი სახით:

– ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრება დაბა ასპინძისათვის დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50% ოდენობით და იგი შეადგენს 3,24 ლარს;

– ასპინძის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ასპინძისათვის დადგენილი ფასის 30% ოდენობით და იგი შეადგენს 1,94 ლარს;

3.ასპინძის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“:

საქართელოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ასპინძისათვის განსაზღვრული ფასის 100% ოდენობით და იგი შეადგენს 6,48 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-4 პუნქტით დადგენილი ფასი;

4. ასპინძის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ;

5. ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის პირველი სართულიდან ფართის სანოტარო ბიუროს განსათავსებლად, ნოტარიუსთა პალატისათვის უვადოდ, უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით სარგებლობაში გადასაცემად, ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მომართვის საფუძველზე, ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მუნიციპალიტეტის შენობაში გამოყო ფართი, სანოტარო ბიუროსათვის 4 წლის ვადით, სადაც განხორციელდება სანოტრო საქმიანობა.

დარეჯან ზღუდაძე

შეხვედრა ტოლოშისა და გელსუნდის მოსახლეობასთან

ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებელი ლევან ცაბაძე, გამგებლის პირველი მოადგილე ალექსანდრე პაპაშვილი, თვითმართველი ორგანოს სხვა წარმომადგენლებთან ერთად ახლახან შეხვდნენ სოფელ ტოლოშისა და გელსუნდის ადგილობრივ მოსახლეობას. შეხვედრის მთავარი მიზანი მოსახლეობაში არსებული პრობლემების დაფიქსირება და მათი გამოსწორების გზების ძიება იყო. სოფლის მოსახლეობის წარმოადგენლებმა ბევრი საპრობლემო საკითხი წამოჭრეს, რომელთა გადაწყვეტა, ცხადია, ერთდროულად, წარმოუდგენელია, თუმცა მათი გამოსწორების გზებსა და საშუალებებზეც ისაუბრეს, რომელთა გადაწყვეტა არა მარტო ადგილობრივი თვითმმართველობის სისხლხორცეულ საქმეს წარმოადგენს, არამედ სოფლის თითოეული მოსახლის გადასაწყვეტიცაა.

შეხვედრის დასასრულს მუნიციპალიტეტის წარმოამდგენლებმა მოინახულეს ორივე სოფელში მცხოვრები შშმ პირები, რომლებიც სახელმწიფო სტრუქტურებიდან სისტემატურ დახმარებასა და მხარდაჭერას საჭიროებენ.

საკ ინფორმაცია

ერიზილეა

„დაანგრიეთ ამორტიზირებული კინოთეატრის შენობა“!

ქართველებს ბევრი კარგი გამონათქვამი გვაქვს, ისეთები, რომლებიც ცხოვრებისეული გამოცდილებითაა შეძენილი. ბევრია ისეთიც, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაშია გავრცელებული და, რატომღაც იმასაც ჩვენად, ქართულად, მივიჩნევთ, რადგან ჩვენს ყოფა-ცხოვრებასთან ი სე ლამაზად შესისისხლხორცებულა, ყოველივე ქართული გვგონია.

აბა, დააკვირდით, რა კარგი გამონათქვამებია:

„ცუდი შემნახავი, ქურდზე უარესიაო“;

„ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო“;

„რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“ და ა.შ.

ალბათ, ჩვენეული, ქართული ცხოვრების წესიდანაა გამომდინარე, ყოველივე ეს, რადგან ჩვენს ხასიათებში კარგად ჯდება.

კი, ბატონო, ჩვენ ტრადიციების მიმდევარი ერი ვართ, მაგრამ ამ ტრადიციებში ბევრი ისეთიცაა, რომლისგან უეჭველად უნდა გავთავისუფლდეთ და ევროპელებს მივბაძოთ. პირველ რიგში, რაც გვამუნათებს და სახელს გვიბღალავს, დაუდევრობა და უპასუხისმგებლობაა, რომლისგანაც ვერა და ვერ გავთავისუფლდით.

ჯერ კიდევ გაგანია კომუნისტების დროს რამდენჯერმე მომიწია უცხოეთში ყოფნამ და ჩემი თვალით დანახული სიკეთეები ჩემში ყოველთვის მისაბაძსა და ჩვენთან დანერგვის უსაზღვრო სურვილს ბადებდა. შორს რომ არ წავიდეთ, აგერ, „ჩვენს მოძმე“ ბალტიისპირეთშიც, სხვა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, მართლა ცივილურ დონეზე იდგა კულტურა. ჩვენ კი ყველაზე ძლიერები ვართ მაშინ, როდესაც ჭიქა გვიჭირავს ხელში და ჩვენს წარსულზე, ჩვენს კულტურაზე, ეროვნულობაზე ვქადაგებთ.

არა, ბატონებო, ჭიქაში გამოხატული სადღეგრძელოთი არ განისაზღვრება ერის კულტურა, იგი უნდა ვისწავლოთ ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებაში, ყველგან, საიდანაც შეიძლება კარგის გადმოღება, ეს არც სათაკილოა და არც საძრახისი. თუმცა, როდესაც საქმე საქმეზე მიდგება, მაშინ მთლად ვწყდებით რეალობას.

სამწუხაროდ, დღეს ქვეყანა ინტელექტუალური საზოგადოების დეფიციტს განიცდის, საქმის მკეთებელი, მისაბაძი ადამიანებიც, სანთლით საძებარი გაგვიხდა. ჩვენი მომავალი თაობა, ძირითადად, მაინც, სატელევიზიო გადაცემებით საზრდოობს, იმ გადაცემებით, რომლებიც არათუ ხელს უწყობენ ქვეყნის კულტურულ განვითარებას, არამედ საზოგადოება დეგრადაციისკენ მიჰყავს, არა უბრალოდ, ინსტიქტურად, არამედ გამიზნულად და ევროპულ კულტურას ამით ისე ვწყდებით, როგორც ცა და დედამიწა. ღმერთმა დაგვიფაროს, ყველას ერთნაირად მოვიაზრებდე, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, საზოგადოებაზე მაინც ყველაზე დიდ გავლენას კულტურის მოღვაწეები ახდენენ – მწერლები, მეცნიერები, კინოსა და თეატრის მსახიობები... ეს უკანასკნელნი კი ტელეშოუების ვარსკვლავებად ქცეულები, რას ქადაგებენ და რა გზით მიჰყავთ ჩვენი ახალგაზრდობა, ყველა ნათლად ვხედავთ, ჭეშმარიტ ადამიანებს – ნაღდ მწერლებს, ხელოვანებს, მეცნიერებს, ცხადია, რომ ამ სივრცეში არ აჭაჭანებენ, რაც საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ, მათი მხრიდან, მიმართული ძირგამომთხრელი პოლიტიკის შედეგია.

ჩვენი ცხოვრების უკეთესად მოწყობაში, ლომის წილი, მაინც კულტურის მუშაკებს ეკუთვნით. ისინი ყველაზე ახლოს არიან ხალხთან და მათ თითოეულ სიტყვას ოქროს ფასი აქვს. მაგრამ კულტურის სფეროს მოღვაწეთა მხრიდან თითოეული მიფუჩეჩებული საქმე, დაუდევრობა, საზოგადეობრივი აზრის უგულებელყოფა, საზოგადოებრივ განწყობას ცვლის.

ამჯერად მხედველობაში მაქვს საქართველოს კინოსტუდიის სააქციო საზოგადოების ელიტარული ნაწილი, რომლებიც ხელისუფლებისგან ბევრს ითხოვენ (ასეც უნდა იყოს, რომ ქართული კინოხელოვნება განავითარონ), მაგრამ რაც აქვთ, სამწუხაროდ, ამასაც ვერ უვლიან (მხედველობაში მაქვს დაბა ასპინძაში ყოფილი კინოთეატრის შენობა) და არც პატრონობენ.

დიახ, ბატონებო, კარგია თუ ყველაფერი ახალი და კარგი გექნება, მაგრამ ძველი, გამოუსადეგარი, ქუჩაში კი არ უნდა მოვისროლოთ, სხვას რომ ხელი შეუშალოს, მას თავისი ადგილი უნდა მიუჩინო (ამაშიც ევროპელებს უნდა მივბაძოთ!), დასანგრევი თუ არის, უნდა დაინგრეს, მოსუფთავდეს და მოწესრიგდეს.

ოჯახში რომ შედიხარ, თუ იქაურობა ნაგავს მიაქვს, მეორედ იქ ცხვირსაც აღარ შეყოფ. დასუფთავებულ-დაწკრიალებული თუ არის, მაშინ ამ ოჯახს კულტურულ ოჯახად თვლი.

ალბათ, გამიგებთ, ძვირფასო მკითხველო, რასთან გვაქვს საქმე.

ჩვენ, რამდენიმე თვის წინ, ვწერდით, რომ ძალზე ავარიულ მდგომარეობაშია დაბა ასპინძის კინოთეატრის ძველი შენობა, რომელმაც, ღმერთმა დაგვიფაროს და, შესაძლოა დიდი თავსატეხიც გაგვიჩინოს.

უკანასკნელ ხანს, თუ კარგად მივადევნებთ თვალს, სატელევიზიო საინფორმაციო გადაცემებს, არაერთი საგანგაშო სიუჟეტის თვითმხილველები გავმხდარვართ – ეს იქნება ხანძრის შედეგად, შენობის ავარიულობის გამო ჭერიდან ჩამოცვენილი ბათქაშით მიყენებული აუნაზღაურებელი ზარალი თუ სხვა, რომელთა უმეტესობა სწორედ რომ დაუდევრობითაა გამოწვეული.

ალბათ, 250-კილომეტრიანი მანძილი იმის საშუალებას არ იძლევა, საქართველოს კინოსტუდიის მესვეურები ჩამობრძანდნენ, საკუთარი თვალით იხილონ, რა დღეშია მათ საკუთრებაში არსებული ასპინძის კინოთეატრის შენობა, რომელიც, როგორც ადრეც აღვნიშნავდით, დამოკლეს მახვილივით ჰკიდია და არავინ უწყის ხვალ, ზეგ (კიდევ ვიმეორებ, ღმერთმა დაგვიფაროს!) რა უბედურებას მოგვიტანს, მაგრამ გამგეობიდან არაერთხელ გაგზავნილი შეტყობინება ხომ უნდა იღონ ყურად, გამოძებნონ დრო და საშუალება, ჩამოვიდნენ და თავიანთ საქონელს თავად უპატრონონ?!

კიდევ ერთხელ მივმართავთ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობას – უპატრონეთ დაბა ასპინძაში მდებარე კინოთეატრის ავარიულ შენობას. თუ თქვენ ვერ უვლით, გადაეცით იმას, ვინც მის დემონტაჟს მოახდენს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, შემოღობეთ მისი ტერიტორია, რომ მოსალოდნელი საფრთხე თავიდან იქნას აცილებული. თუ ამჯერადაც თქვენს საკუთრებას სათანადო ყურადღებას არ მიაქცევთ, მაშინ მუნიციპალიტეტის გამგეობამ უნდა მიიღოს გადამწყვეტი ზომები კანონით მინიჭებული უფლებების გამოყენებისათვის.

კულტურის მუშაკებს მეტი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეთ. საწყენი არც უნდა იყოს ამ ტონით ვესაუბროთ მათ, რადგან როცა არაფრად მიაჩნიათ მსგავსი საკითხების დროული მოგვარება, მაშინ იძულებული ხარ არ დაიშურო მკვახე-მკვახე სიტყვებიც კი, რათა იქნებ ახლა მაინც ყურად იღონ ასპინძელთა მოთხოვნა – „დაანგრიეთ ამორტიზირებული კინოთეატრის შენობა, ბატონებო, ვიდრე გვიან არ არის“!

ავთანდილ გერიძე

აზიური ფაროსანა - მდგომარეობა საგანგაშოა!

აზიური ფაროსანა საქართველოში პირველად 2015 წელს გამოჩნდა. რომელიც დასავლეთ საქართველოში 2016 წელს გავრცელდა. მავნებელმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მეთხილეობის დარგს. ინვაზიური მავნებელი თხილის გარდა აზიანებს თითქმის ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურას. იგი, უპირატესად, ვაშლის, ატმის, ყურძნის, კენკროვნების მტერია, ამ მავნებელს ახასიათებს არაპროგნოზირებადი გადაადგილების უნარი, გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე იკვებება მცენარეებით, გამოსაზამთრებლად კი სახლებსა და სხვა შენობა-ნაგებობებში შედის. უცხოელი ექსპერტების მონაცემებით, აზიური ფაროსანას მასობრივად გავრცელების დროს ზარალმა შეიძლება მოსავლის 70 პროცენტი შეადგინოს.

საქართველოში გამოვლენილი ახალი მავნებლის – აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელებისთვის, სასტუმრო „ჰოლიდეი ინში„ სპეციალისტებისთვის სწავლების კურსი გაიმართა. ქვეყნის წამყვანმა ენტომოლოგებმა სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურების წარმომადგენლებს ახალი მავნებლის სპეციფიკის და ბრძოლის ღონისძიებების შესახებ მიანოდეს ინფორმაცია. სამუშაო შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა მიზნობრივ ჯგუფებთან ურთიერთობის მექანიზმებზე. „გასულ წელს დასავლეთ საქართველოში ახალი მავნებლის გამოვლენისთანავე სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით შეიმუშავა კომპლექსური ღონისძიებების გეგმა, რომელიც სამ ძირითად მიმართულებას – მოსახლეობის და ფერმერების ცნობიერების ამაღლებას, მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებს და მონიტორინგს ითვალისწინებს. პროგრამის ეფექტიანად განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა და ჩართულობა.„ „ჰოლიდეი ინში„ გამართულ სწავლებებს თბილისის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ანალოგიური ტრენინგების ჩატარება საქართველოს ყველა რეგიონში არის დაგეგმილი.

მსოფლიოს წამყვანი ენტომოლოგების რეკომენდაციით, ქიმიური შესხურება ეფექტიანია მავნებლის დაფრთიანებამდე (ნიმფის ასაკში, მაისოოვნისის პერიოდში). ამ მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტო წამყვანი ენტომოლოგების მონაწილეობით, მუდმივ რეჟიმში განახორციელებს მონიტორინგს, რათა ზუსტად განისაზღვროს მავნებლის გავრცელების არეალი და დადგინდეს წამლობის ზუსტი თარიღი. მონიტორინგის ფარგლებში მნიშვნელოვანია მოსახლეობის ჩართულობა და მავნებლის გავრცელების შესახებ ინფორმაციის განახლება.

აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, დაუყოვნებლივ, 2016 წლის ოქტომბერში, აშშ-ის განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტის (REAP) მხარდაჭერით, მსოფლიოს წამყვან სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავა აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას, მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებს (ქიმიური წამლობა) და მონიტორინგს. საქართველოს დახმარებას აშშ-ის განვითარების ფონდი უწევს. პრობლემის აღმოსაფხვრელად 12 მილიონი ლარია გამოყოფილი და ის, ძირითადად, საკარმიდამო ნაკვეთებზეა გათვლილი.

ოლღა გერიძე-ველიჯანაშვილი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასპინძის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ჯეტეერის სახლს ხარაჩოები მოხსნეს

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა კარგად იციან, რომ ერთ წელზე მეტია მიმდინარეობს ასპინძის კულტურის ცენტრში სარემონტო სამუშაოები. კეთილმოენყო როგორც მისი შიდა ინტერიერი, ასევე ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ თანამედროვე სტანდარტების დონეზე ჩატარებულიყო აღნიშნული სამუშაოები.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კულტურის ცენტრს აშენებიდან დღემდე არაერთხელ ჩაუტარდა სარემონტო კოსმეტიკური სამუშაოები, თუმცა იმ დონით, როგორც ახლახან მასზე განხორციელდა მსგავსი სარემონტო სამუშაოები, ანალოგიურად არც არასოდეს არ განხორციელებულა და, უნდა ითქვას, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს თანამდროვე ევროპულ სტანდარტებს.

ახლახან ხარაჩოები მოხსნეს და ახლად გარემონტებულმა შენობამ მთლიანად შეცვალა ტერიტორიის იერსახე.

სარემონტო სამუშაოების მესამე ეტაპი ასევე განხორციელდება წელსვე და სრულიად დამთავდება პროექტით გათვალისწინებული ყველა სამუშაო.

საკ. ინფორმაცია

სარემონტო სამუშაოები დამთავრდა

უკანასკნელ პერიოდში ბევრი სასიკეთო ცვლილებები ხდება ასპინძის სინამდვილეში. რეგიონში ასპინძა ერთ-ერთი გამორჩეული რაიონია, სადაც სახელმწიფო სუბსიდიების გარდა, მოზიდული ინვესტიციებით იმდენი გაკეთებულიყოს, რამდენიც ასპინძის სინამდვილეში ხდება – არ დარჩენილა მუნიციპალიტეტის არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა, სადაც ამ მიმართებით არ მიმდინარეობდეს შესაბამისი სამუშაოები. მათ შორის უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სრულად დამთავრდა ასპინძის ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკისა და მუსიკალური სკოლის შენობის გარე ფასადის რემონტი და მოეწყო ცენტრალური გათბობა, უახლოეს პერიოდში კი ასევე გავალისწინებულია შენობის შიდა ინტერიერის კეთილნყობითი სამუშაოების ჩატარება და თანამედროვე სტანდარტებით მისი მოწყობა.

საკ. ინფორმაცია

არდავიწყება მოყვრისა...

კაცური კაცობის ეტალონი

ლევან ხუციშვილს, უდიდესი ეროვნული და ადამიანური ღირსებების მატარებელ პიროვნებას, ახლა, 59 წელი შეუსრულდებოდა. იგი 2012 წლის სექტემბერში, 55 წლის ასაკში, წავიდა ამქვეყნიდან. წავიდა და ყველას განუზომელი სევდა და ტკივილი დაუტოვა.

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნებისო“ – ბრძანებს დიდი შოთა და დასაბამიდან ადამიანთა მოდგმა შეგუებულია იმ აზრს, რომ – ასე იყო, ასე არის და ასე იქნება მომავალშიც. ადამიანები იბადებიან, იზრდებიან და მერე, ღმერთს, ადამიანის შემოქმედს, მიჰყავს მარადიულ სასუფეველში. ამქვეყნიდან მისი უდროოდ წასვლაც ხომ უფლის ნება გახლდათ, რათა მეტი ტკივილი ეგრძნობინებინა ჩვენთვის, რომ სწორედ ასეთი ადამიანების მარადიულ სასუფეველში გადაბრძანება ამქვეყნად უნდა გვახსენებდეს თავს, რამეთუ, სულიერი ტკივილებით გამოწვეული სევდა შეხსენებაა მათი სულის მარადიული არსებობისა და იგი თაობიდან თაობას გადაეცემა, რაც, მარადჟამს, საამაყოს ხდის შთამომავლობაში, უპირველესად, თანამემამულეებში – ქვეყნის სიძლიერე ხომ ჭეშმარიტ ადამიანთა სიმრავლეშია.

პირადად მეც და თითოეულ ასპინძელსაც, რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, ყოველთვის გვემახსოვრება ბატონი ლევან ხუციშვილი.

როდესაც ასპინძის კულტურისა და დასვენების ღამაზად მოწყობილ პარკში გავივლით, სადაც ყოველთვის ხალხმრავლობაა, უმალ თვალწინ წარმოგვიდგება მუდამ ენერგიული, საქმის ზედმიწევნით პუნქტუალურად შემსრულებელი, ბატონი ლევან ხუციშვილი, რომელმაც უმაღლეს დონეზე განახორციელა პროექტით გათვალისწინებული ყველა სამუშაო, დაამთავრა პარკის კეთილმოწყობა, მის საზეიმოდ გახსნას კი, სამწუხაროდ, ვერ დაესწრო... ბედმა უმუხთლა. ლევანს, როგორც დიდებულ სპეციალისტს, შესანიშნავ სამეურნეო მუშაკს და ხელმძღვანელს, არამარტო ასპინძაში, მთელ რეგიონში, საქართველოს თითქმის ყველა მხარეშიც კარგად იცნობდნენ და სიყვარულით მოიხსენიებდნენ. იგი ბორჯომში, რაიონში ცნობილი პედაგოგების ოჯახში დაიბადა და დავაჟკაცდა, მაგრამ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, ასპინძაში გაატარა, თავისი ნიჭი, გონება, შესაძლებლობა, ამ რაიონს მოახმარა. ბატონ ლევანს, თავის მშობლიურ ბორჯომსა (საითკენაც ძალიან ბევრს ყოველთვის მიუწევს გული) და სხვა დიდ ქალაქებშიც ჰქონდა ბრწყინვალე კარიერის გაკეთების არაერთი შესაძლებლობა, მაგრამ ისე შეიყვარა ასპინძა, უიმისოდ ვერც კი წარმოედგინა ცხოვრება. აქაური სითბო, ტოლმეგობრების მხრიდან სიყვარული ისე ჰქონდა სისხლსა და ხორცში გამჯდარი, რომ წარმოუდგენელი იყო მას ეს ნაბიჯი გადაედგა, ამის შესახებ არაერთხელ განუცხადებია კიდეც და ეს არ ყოფილა ლიტონი სიტყვები, ეს ჭეშმარიტად დიდი სიყვარულით გამოწვეული გრძნობა იყო და სიცოცხლის ბოლომდეც ამ სიყვარულს დაატარებდა. იგი ბოლომდე ასპინძისთვის დაიხარჯა. განა ასეთი სიყვარული ბევრს შეეძლო? – არამც და არამც! მან ეს შეძლო და კიდევ ამითაცაა მისი ადამიანობა დასაფასებელი, რომ ამ ხალხისთვის მისი სიცოცხლე ტაძარში დანთებული სანთელივით გაილია და ჩამოიღვენთა, რამაც მას ბუმერანგივით ასპინძელთა მხრიდანაც დიდი სიყვარული დაუბრუნა.

წამიერად თვალი გადავავლოთ ბატონ ლევანის მიერ განვლილი ცხოვრების გზას და ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება, თუ რაოდენ დიდი სულის მატარებელი ადამიანი წავიდა იმქვეყნად, რომლის არყოფნით გამოწვეული სევდა კიდევ დიდხანს გაჰყვება ყველას, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ლევან ხუციშვილი ახალციხის საგზაო სამმართველოში მიავლინეს სამუშაოდ, მაგრამ უნარიანი ახალგაზრდა სპეციალისტი მალევე – 1989 წელს ასპინძის საგზაო განყოფილების უფროსად დააწინაურეს, მაშინ, როდესაც ქვეყანაში დიდი რყევები დაიწყო – სახელმწიფო საკუთრება კერძოთი იცვლებოდა; ეს ის დროა, როცა სახელმწიფო სტრუქტურების შემდგომი მუშაობისთვის მზა რეცეპტი არ არსებობდა და ვინ როგორ გააგრძელებდა ცხოვრება-მოღვაწეობას, ეს ხელმძღვანელის ალღოზე, ინიციატივაზე, იყო დამოკიდებული. ამ პერიოდში, როგორც ყველგან, ასპინძაშიც, ბევრი რამ დაინგრა, განადგურდა, დაიშალა, მაგრამ ერთადერთი, დიახ, ერთადერთი, ასპინძის საგზაო განყოფილება გახლდათ, რომლის უნარიანმა, ახალგაზრდა თავკაცმა, რაიონის ეს ფლაგმანი განყოფილება გადაარჩინა, ახლებურად ააღორძინა და არსებულის ბაზაზე შექმნა რაიონის მასშტაბით ერთადერთი ძლიერი საწარმო – შპს „ახალშენი“, სადაც ყოველდღიურად მუშაობა ჩვეული რიტმით მიმდინარეობს და 40-მდე მუშა-მოსამსახურეცაა დასაქმებული.

წავიდა ამ ქვეყნიდან ლევან ხუციშვილი, მაგრამ ამ საწარმოს პატრონის ხელი არ მოჰკლებია, მისი გზა მისმა ერთგულმა და უსაყვარლესმა ადამიანმა – მისმა თანამეცხედრემ, ასევე უდიდესი ადამიანური ღირსებების მატარებელმა ქალბატონმა, ლიანა მანჩხაშვილმა გააგრძელა და დიდი პასუხისმგებლობით უძღვება მინდობილ საქმეს, ახლა იგი სამსახურის უფროსიცაა, ოჯახში – ქალიც და კაციც, შესანიშნავი დედა, რომელიც ენერგიას არ ზოგავს – უმამობა არ აგრძნობინოს და ყველანაირად შეუწყოს ხელი უმშვენიერეს ქალიშვილებს სწავლასა და მათ ღირსეულ ადამიანებად ჩამოყალიბებაში.

ბატონი ლევანი იმ ძნელბედობის ჟამს, გარკვეული პერიოდი, რაიონის გამგეობასაც ედგა სათავეში და აქაც თავკაცის შესაშური რაინდული სულისკვეთება გამოავლინა და არ შეეპუა იმ ნინააღმდეგობებს, რომელიც ამ თანამდებობებზე მყოფთათვის დამახასიათებელი თვისებაა, – მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონია ვინ ვინ იყო, რომელი პარტიის გულშემატკივარი თუ მეხოტბე, მისთვის მთავარი ადამიანური ღირსება იყო, რომლითაც იგი უფრო მეტ პატივს მიაგებდა ყველას და ბოლომდე ასეთად დარჩა.

ოთხი წელი გავიდა ლევან ხუციშვილის გარდაცვალებიდან, მაგრამ ძნელია ოჯახისთვის, მისი უამრავი ნაცნობ-მეგობრისთვის, ახლობლისთვის, თანამშრომლისთვის ამ უანგარო, ერთგული ადამიანის გარეშე ყოფნა. იგი ხომ ყველასათვის კაცური კაცობის ეტალონი იყო.

გიორგი ბერიძე

ქვეყნის წინაშე ვაღმოხდილი მხედარი

მარცხნიდან პირველი დუდუშა ცინაძე

ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი განიხილავდა რა ათენის მონათმფლობელური სახელმწიფოს ძლერების საფუძვლებს, ერთგან მეტად უცნაურ კითხვას სვამდა:

– რა იქნებოდა, ათენში ასი ცუდი მეწაღე რომ ყოფილიყო? – არაფერი დაშავდებოდა ამით. ასი ათენელი ას ცუდ წუღას ჩაიცმევდა, ცოტა ხნის შემდეგ კი უვარგის წუღებს გადაყრიდნენ, მაგრამ რა იქნებოდა, ათენში ასი ცუდი პედაგოგი რომ ყოფილიყო?

– ოი, ათენის სახელმწიფო ერთ დღესაც ვერ იარსებებდა– – ბრძანებდა იგი.

ასპინძის ციხის უბანში, ერთი პატარა ქუჩაა, ქუჩის ბოლოს კი ერთი კოპწია, ორსართულიანი სახლია. ეს ქუჩა დუდუშა ცინაძის სახელობისაა, ხოლო ის სახლი, ერთ დროს, აწ განსვენებულ დუდუშას ეკუთვნოდა.

როცა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, პედაგოგიურ საქმიანობას შევუდექი, სამასწავლებლოში შესვლა რატომღაც მეუხერხულებოდა, ხოლო, ჩემი ყოფილი პედაგოგების გამოჩენაზე სამასწავლებლოში, სკამზე მჯდომი, უნებლიედ ფეხზე ვდგებოდი. ეს შემამჩნია და შინაურულად დამტუქსა: „არაა საჭირო, ჩვენ უკვე კოლეგები ვართო“! – მითხრა.

პედაგოგთა მიერ დაშვებულ შეცდომებზე ღიად არასოდეს ლაპარაკობდა. კაბინეტში ცალკე დაიბარებდა და მეგობრულ რჩევებს აძლევდა. პედაგოგის მცირე, მაგრამ კარგ საქმეს ერთიათად წარმოაჩენდა.

ერთხელ, სამასწავლებლოში, გახარებული სახით შემოვიდა, ხელში სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“ ეჭირა. მასწავლებლების წინ ააფრიალა და ყველას გასაგონად მომილოცა: გილოცავ, ნოდარ დუმბაძეს შენი მეგობრული შარჟი დაუბეჭდავსო.

ვინ იყო დუდუშა ცინაძე?

ჩვენი უფროსი თაობის წარმომადგენლებს კარგად გვახსოვს დუდუშა მასწავლებელი და მისი მეუღლე ქალბატონი ლუბა ბრეგაძე, მთელ რაიონში გამორჩეულნი, ასპინძის კოლორიტი ადამიანები. ნაძალადევ ავტორიტეტს პიროვნება ვერც ზნეობრივი და ვერც პროფესიული საქმიანობით ვერ შეიქმნის, თუ კაცი კაცად არ ხარ დაბადებული.

– „საქმემან შენმან გამოგაჩინოსო“ – ქადაგებს სახარება. სწორედ მისი საქმენი იყო მისი პიროვნების წარმოჩენისა.

მისი ბიოგრაფია, სიცოცხლის დასაწყისი, ცხოვრება ასე დაიწყო:

დაიბადა თერჯოლის რაიონის სოფელ თავასაში 1933 წლის პირველ იანვარს ივანე და შუშანა ცინაძეების ოჯახში. ახალდაბადებულთა ჩათვლით ექვსი დედმამიშვილი გახლდათ. აქედან ხუთი ვაჟი და ერთადერთი და ციცინო.

დუდუშა ტყუპისცალი გახლდათ და, მოგეხსენებათ, რა სიხარული იქნებოდა ორი ძმის – დუდუშასა და ხუჩუნას დაბადება.

მძიმე იყო ის წლები. ახალი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნებით ქვეყანა მუხლჩაუხრელი შრომით ნელ-ნელა წელში იმართებოდა. მერე... დიდი სამამულო ომი... ცინაძეთა ოჯახიდან სამი ძმა – სერგო, აკაკი და მიხეილი გაიწვიეს ფრონტის წინა ხაზზე. ამათგან აკაკისა დსა მიხეილის სიცოცხლე ქერჩის ქართველთა სასაკლაომ შეინირა.

მხოლოდ სერგო დაუბრუნდა მშობლიურ კერას და, ისიც, ომგამოვლილი ჯარისკაცი, სოფლის ახლოს – ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა. საშინლად მძიმე იყო ოჯახისთვის ეს ომი, მაგრამ, მთელი საქართველოც, ცინაძეთა მსგავსად, იმ დროს ხომ შავ ძაძებში იყო გახვეული...

ომში დაღუპული შვილებისაგან განცდილი ტკივილი იმდენად მძიმე აღმოჩნდა ოჯახისათვის, რომ მამამ ვეღარ გაუძლო და დაღუპული შვილების დარდს გადაჰყვა.

მიუხედავად ამ უბედურებისა, ცხოვრება მაინც წინ მიდიოდა... 1944 წელს იმერეთის მაღალმთიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მესხეთში ჩამოასახლეს. ასპინძაში ჩამოსახლებულთა შორის მათი ოჯახიც აღმოჩნდა.

დუდუშა ცინაძემ 1954 წელს დაამთავრა ა.წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ასპინძის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. მალევე დაოჯახდა. 37 წელი შეალია მან ახალი თაობის აღზრდის საქმეს. წლების მანძილზე ასპინძის საშუალო სკოლისა და ბავშვთა სახლის დირექტორიც იყო.

ობლობაში გაზრდილს უყვარდა შრომის ფასი, ვერ იტანდა უსაქმურებს. უყვარდა ასეთი გამოთქმა: „ბავშვის გონება დახურული განძით სავსე ოთახს გავს, თუ გასაღებს მოვუძებნით, მხოლოდ მაშინ შევძლებთ მისი გონების გახსნასო„...

ბევრი, ძალიან ბევრი მოგონება მაკავშირებს დუდუშა მასწავლებელთან:

მესხეთზე ფანატიკურად შეყვარებული კაცი გახლდათ. ერთ დღეს იმერეთიდან სტუმრები ეწვივნენ. ბუნებრივია, ჯერ ვარძია დაათვალიერებინა, მერე დიდებული სუფრა გაუშალა.

ერთმა სტუმართაგანმა უკმაყოფილება გამოთქვა:

– რაა, ამხელა გზაზე მომავალმა ერთი ნორმალური ხე ვერ დავინახე, რა ხრიოკ ადგილზე ცხოვრობთო.

– მარჯვნივ და მარცხნივ თუ გაიხედეო?

– არაო!

– თუ არ გაგიხედავს, შე მამაცხონებულიშვილო, შუა გზაზე ხეს ვინ ამოგიყვანდაო, – უთქვამს დუდუშა მასწავლებელს.

მერე, სტუმრები, ასპინძის ციხეზე აუყვანია და იქიდან დაუნახებია ხეხილით დაფარული ასპინძის ოდა-სახლები, თან დაუმატებია: აქაურმა ვაშლმა და მსხალმა ააშენა ეს ოდა-სახლები, რუსეთში აქაური ხილი ძვირად ფასობსო.

ორი ქალიშვილი დატოვა ამქვეყნად. ორივე წარჩინებულ მოსწავლედ ითვლებოდა. უმცროსს ვასწავლიდი ისტორიას, ერთხელ, გამოძახებით ოთხ მოსწავლეს ვკითხე გაკვეთილი. არცერთმა არ იცოდა. გაჯავრებულმა ყველა ორიანით „დავასაჩუქრე„. მერე დირექტორის შვილი გამოვიძახე. ჩემდა მოულოდნელად, მანაც უარი განმიცხადა. კლასს გადავხედე, ყველა დაძაბულად შემომაჩერდა. ყველას სახეზე ერთი და იგივე კითხვა ამოვიკითხე: – დავუწერდი თუ არა ორიანს!

ისე დავუწერე, ვითომ არაფერი. გაჯავრებულმა მოსწავლემ პროტესტის ნიშნად, გაკვეთილი მიატოვა.

დასვენებაზე დირექტორი ვნახე, საქმის ვითარება გავაცანი.

გაჯავრდა.

– მე მაგას მივხედავ, შენ არაფერზე ინერვიულო. თუ საჭიროდ ჩათვლი, მეორე ორიანიც დაუწერეო!

შინ მისულს ერთი ამბავი დაეწია შვილისთვის...

სკოლაში უფროსი კლასის მასწავლებლისთვის შრომითი და დასვენების ბრიგადები იქმნებოდა (უმცროსები პიონერულ ბანაკებში ისვენებდნენ).

შრომითი ბრიგადები ორ ნაწილად იყო გაყოფილი – სატყეო და საკოლმეურნეო. ხშირად გამოგვივლიდა, დაგვხედავდა, თითოეულ დარგულ ხეს დახედავდა და იტყოდა:

– ერთ დროს თურქებისგან გადამწვარ და გადაბუგული ტყეები თქვენ უნდა აღადგინოთ, ხვნა და თესვა ყველა ბავშვმა უნდა იცოდესო.

ბავშვებს არც პედაგოგები ჩამოვრჩებოდით. კოლმეურნეობაში იმდენი მოსავალი მოდიოდა, დაბინავებას ვერ ასწრებდნენ. მაშინ ქუდზე კაცი გავდიოდით, მთავარი სენაჟის დამზადება იყო, მერე ვაშლის კრეფა – ასეულობით ტონა ვაშლს ვკრეფდით, ვაშლის ვებერთელა გორები იდგა... სკოლის დირექტორი თავკაცობდა ყოველთვის. ჩვენი სკოლა ყოველთვის მოწინავე პოზიციებზე იდგა. სახალხო დღესასწაულებზე მისი ინიციატივით მოსწავლეთა კოლონის თავში ყოველთვის „დედაენის“ გადაშლი-

გაგრძელება გვ 4

წარსულის ფურცლები

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები. დ. ასპინძა. სხედან: მარცხნიდან – მიხეილ ზურაბაშვილი, ლუბა მაღრაძე, ბაბულია ჯომარდიძე, ეკატერინე მელიქიძე; დგანან მარცხნიდან – ლავრენტი გიორგაძე, ვლადიმერ ზედგინიძე, ... ლევან ველიჯანაშვილი, აბრამ ზაზაძე. ალექსანდრე გოგოლაძე. გასული საუკუნის 70-იანი წლები. სურათი მოგვაწოდა ელდარ ზაზაძემ

გარე განათების სამუშაოები აქტიურ ფაზაში შევიდა

იყო დრო, როდესაც მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგება როგორც მთელ ქვეყანაში, ასევე ასპინძის მუნიციპალიტეტშიც დიდ პრობლემას წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში ეს პრობლემა მოგვარდა და ახლა მთავარი აქცენტი გადატანილია ქუჩებსა თუ ჩიხებში გარე განათების მოწყობაზე და ამ მიმართებით სათანადო კომფორტის მოსაწყობად. ქუჩების მოასფალტების პარალელურად ყველაგან მიმდინარეობს მსგავსი სამუშაოები და წლითიწლობით იხსნება ეს პრობლემაც.

ამ პროექტის ფარგლებში წლეულს დაგეგმილია დაბის დამატებით 20 ქუჩის განათების მოწყობა და, აგრეთვე, ცენტრალური ქუჩის მიმდებარედ არსებული რიყის ქვის კაპიტალურ დეკორატიულ ღობეებზე განათების შეცვლა.

აღნიშნულ სამუშაოებს ასრულებს შპს ,,ქსელაშენი''. სამუშაოების ღირებულება მთლიანობაში შეადგენს 154 999 ლარს.

სამუშაოები გეგმა-გრაფიკით მიმდინარეობს და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

საკ ინფორმაცია

მიმდინარეობს ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, ეს იქნება დაბის ქუჩებისა თუ სოფლად მისასვლელი გზების კეთილმოწყობა, ამასთან, ასევე სათანადო ყურადღების ცენტრში მოექცა მდინარე მტკვარზე არსებული ე.წ. აბანოს, ახალშენის, აწყვიტისა და ოსკერიის ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ხიდებზე არსებული დაზიანებული ხის საფარისა და ხიდის კიდურებზე მავთულბადეების შეცვლა.

სამუშაოებს ასრულებს ინდ. მეწარმე ,,ქრისტინე სარაშვილი-ტატო''.

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად ბიუჯეტიდან გამოყოფილია 39 210 ლარი. სამუშაოები უკვე დაიწყო და უახლოეს პერიოდში დასრულდება.

საკ. ინფორმაცია

ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი მხედარი

დასაწყისი გვ 3

ლი წიგნის მაკეტს წარვიმძღვანებდით.

საკმაოდ მაღალ დონეზე გვქონდა სპორტის სხვადასხვა სახეობებიც, რომელთაც აწ გარდაცვლილი კონსტანტინე ფართლაძე და ამირან ლოლაძე ხელმძღვანელობდნენ.

თვითონ, ახალგაზრდობაში, ასპინძელთა ფეხბურთელთა გუნდის მეკარე, თბილისის „დინამოს" ფანატიკური გულშემატკივარი იყო.

დასვენება არ იცოდა. როცა ბავშვთა სახლის დირექტორად დაიწყო მუშაობა, საკუთარი თავი დაივიწყა. დღე და ღამეს ბავშვებთან ერთად ათევ-ალამებდა – ახალ აშენებულ ბავშვთა სახლში ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი, თუმცა მთავარი მაინც ბავშვებისადმი მზრუნველობა იყო საჭირო.

ვის არ ნახავდით აქ, საქართველოს რომელი კუთხიდან არ იყვნენ მისი აღსაზრდელები, ძირითადად უდედმამო ბავშვები, ეკონომიურად შეჭირვებული ოჯახების შვილები და, რაც ყველაზე რთული იყო – ე.წ ძნელადაღსაზრდელები. ეს ჩვეულებრივი ბავშვთა დაწესებულება არ იყო. აქ განსაკუთრებული ძალისხმევა იყო საჭირო მათი აღზრდისათვის.

მახსენდება ერთი ასეთი ამბავი: ორმა ძნელადაღსაზრდელმა იჩხუბა. ერთი დანით მოკვლას დამუქრებოდა. შეშინებული მეორე ბავშვი გაიქცა.

როგორც იქნა, დირექტორმა, დანიანი ბავშვი განაიარაღა, თბილისისკენ გაქცეულ ბავშვს ფეხდაფეხ მიჰყვა, გზიდან ტკბილი სიტყვით მოაბრუნა. ორივე შეარიგა. შინ წაიყვანა. ორი კვირა თავისთან ჰყავდა, მერე დამეგობრებულები ისევ ბავშვთა სახლში დააბრუნა.

მათ, აქაც, თვალთახედვიდან არ იცილებდა. ცალკე სადურგლო ოთახი გამოუყო, გარეთ კი ვარდების და ხეების მოვლას ასწავლიდა.

იმ წლებში ედემის ბაღს გავდა ბავშვთა სახლის ეზო.

დღეს სხვა დანიშნულებითაა გამოყენებული ბავშვთა ყოფილი დაწესებულება. აქ აღარც ბავშვთა ჟრიამული ისმის და მტკვრის ხეობიდან მონაბერი ქარი არხევს დუდუშა ცინაძის დროს დარგულ ხეთა ჯარს...

რა დრო გასულა...

57 წლის ასაკში წავიდა ამქვეყნიდან დიდებული ადამიანი, გამორჩეული პედაგოგი და დიდი აღმზრდელი...

წავიდა ისე, როგორც ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი მხედარი...

რობერტ ბერიძე

„მიეცი ნიჭსა გზა ფართო"!

ძნელია

ძნელია, ძნელი, დაშორდე იმას,
ვინც მთელი გულით მართლაც რომ გიყვარს,
როცა ცრემლები წააგავს წვიმას,
ვწუხვარ და ვამბობ – რომ მაინც მიყვარს.

როგორ გავატანო ქარს?

ქარის მოტანილი რა მაქვს,
უკან რომ გავატანო ქარს?
ჩემი სიყვარული თვითონ შევქმენი და
როგორ გავატანო სხვას?
შენი სიყვარულით გამთბარია,
როგორ შევეჭიდო სხვას?
მე ხომ მაგ თვალების ისევ მჯერა,
როგორ დავუჯერო სხვას?
ქარის მოტანილი არა ხარ და
როგორ გავატანო ქარს?

კიმა ივანიძე,
ასპინძის საჯარო სკოლის
მე-6 კლასის მოსწავლე

კურიოზები

მათემატიკური აზროვნების გამჭრიახი პედაგოგი

გასული საუკუნის 80-იან წლებში, გაგანია კომუნისტების დროს, მასწავლებლის თვიური განაკვეთი 120 მანეთამდე, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრებოდა, ხოლო თუ განაკვეთი თუნდაც ერთი მანეთით მოიმატებდა, იბეგრებოდა 20 მანეთით.

რაიონის ერთ-ერთ სკოლაში მუშაობდა ერთი ახალგაზრდა მასწავლებელი, რომლის განაკვეთი 120 მანეთს შეადგენდა და სკოლის დირექტორმა, დახმარებისა და ხელის შეწყობის მიზნით, დანამატი რომ გაზრდოდა, კლასის ხელმძღვანელობაც შესთავაზა, რაზეც დამატებით ათი მანეთი მიეცემოდა და 130 მანეთი გაუხდებოდა. დირექტორმა ვერ განსაზღვრა, რომ დანამატზე საშემოსავლო გადასახადი 20 მანეთი ექნებოდა და ხელფასი დაიკლებდა – 110 მანეთამდე.

ამ პედაგოგმა დირექტორის „ხელშეწყობით" სამი წელი იმუშავა და, ბოლოს, როგორც იქნა დაასკვნა, რომ დანამატის გარეშე გაცილებით მეტ ხელფასს აიღებდა და კლასის ხელმძღვანელობაზე უარი განაცხადა.

მიტა პაპამ მოიბოდიშა

სოფელ ნაქალაქევში ცხოვრობდა რაიონში კარგად ცნობილი, მოწინავე კოლმეურნე ძია მიტა მ... რომელიც ასევე საუკეთესო დურგალიც იყო.

ერთ დღეს ძია მიტა თივის დასამზადებლად, ადრიანად, მთაში, კოლმეურნეობის სატვირთო ავტომანქანით გაემართა. გვიანობამდე ცელისთვის ხელი არ გაუშვია და დიდი ფართობიც გათიბა. შიმშილი და დაღლა რომ იგრძნო, ცოტა ხანს შეისვენა, მიიხედ-მოიხედა და საგზლის ძებნა დაიწყო, თუმცა ვერსად რომ ვერ დალანდა, ცოლის მისამართით გინების კორიანტელი დააყენა – როგორ დაავიწყდა გამოტანება, მშიერმა როგორღა ვიმუშაოო და გაბრაზებული ახალგათიბულ ჭელზე გულაღმა წამოწვა. უნებლიედ ზურგზე რაღაც დიდი სიმაგრე იგრძნო და სწრაფად წამოხტა ადგილიდან... თურმე ცოლის გამოტანებული პროდუქტებით სავსე ზურგჩანთით მთელი დღე უმუშავია და ისღა დარჩენოდა გინება უკან დაებრუნებინა.

კარგა ნასადილევმა მშვიდად გააგრძელა თიბვა და, შიგადაშიგ, თავის თავზე, გულიანად გადაიხარხარებდა ხოლმე.

დიმიტრი მაღრაძე

რედკოლეგია